შ.პ.ს. “კონსტუდიო”

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №57, (სკ 01.17.13.041.018), საცხოვრებელი და სასტუმრო კომლექსის კორექტირებული პროექტის

კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2020

წინა პირობები:

შპს "ავლაბარი ჰოტელ რეზიდენს"-ის დაკვეთით, ჩვენს მიერ დასადგენია ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №57 (სკ 01.17.13.041.018), საცხოვრებელი და სასტუმრო კომლექსის კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზების და გაანგარიშებების ხარისხი, როგორც სამშენებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ასევე შენობის კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობის და მედეგობის გრძელვადიანი ექსპლუატაციის პერსპექტივით.

დამკვეთის მიერ წარმოდგენილია საპროექტო მასალები:

1. შპს "საინჟგეო"-ს მიერ 2018 წელს შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.
2. არქიტექტურული ნაწილის კორექტირებული პროექტის pdf ფაილის ნახაზები და განმარტებითი ბარათი.
3. შპს "პროგრესი"-ს მიერ "LIRA-SAPR 2013" პროგრამული კომპლექსით გაანგარიშებული ელექტრონული ფაილები და კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ძირითადი ნახაზების pdf ფაილები.

საერთო:

განსახილველი ასაშენებელი კომპლექსი შედგება ორი კონსტრუქციულად დამოუკიდებელი ნაწილისგან: 24 სართულიანი საცხოვრებელი და 13 სართულიანი სასტუმროს ბლოკები. შენობები ფუნქციონალურად გაერთიანებულია ერთი მიწისქვეშა ავტოსადგომით.

სამშენებლო უბნისთვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა W_0=0.85 კპა; თოვლის საფარის წონა - 0.50 კპა: საანგარიშო სეისმურობა – 8 ბალი.

24 სართულიანი შენობის საძირკვლები გადაწყვეტილია 1.1 მ სისქის მონოლითური რკინაბეტონის ფილა-როსტვერკით შეკრული 1.2 მ დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯებით. ხიმინჯები არანაკლებ 2 მეტრით დაანკერებულია ძირითად ქანებში

13 სართულიანი კორპუსის საძირკვლები გადაწყვეტილია 1 მ სისქის მონოლითური რკინაბეტონის მთლიანი ფილით.

ძირითადი ქანები წარმოდგენილია სუსტად გამოფიტული არგილიტების და ქვიშაქვების მორიგეობით, რომლის წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში მთლიანობაში შეადგენს Rc=5.9 მპა.

შენობები კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ცვალებადი კვეთის სვეტების, დიაფრაგმების, კოჭების და გადახურვის ფილების კარკასულ-კავშირებიანი სივრცული სისტემით.

მზიდი კონსტრუქციებისთვის ბეტონის კლასი მიღებულია B30; სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასია – B500b.

ფუძე-საძირკვლების და კარკასულ-კავშირებიანი სისტემის ერთობლივი სივრცული მოდელირება და გაანგარიშება განხორციელებულია პროგრამული კომპლექსის "LIRA-SAPR 2013 "-ის გამოყენებით, როგორც სტანდარტული სპექტრული მეთოდით, ასევე შერჩეულ სინთეზურ აქსელოგრამებზე.

საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციულ ნაწილში მოხდა კორექტირება:

<u>სასტუმრო</u>

1. -1 სართულის და 0 სართულის სიმაღლეები გაიზარდა. -1 სართულის სიმაღლე გაიზარდა 5 სმ-ით, ხოლო 0 სართულის - 15 სმ-ით.
2. შენობის საძირკვლს ფილა აიწია ზემოთ 25 სმ-ით. შეიცვალა სართულების აბსოლუტური ნიშნულები.
3. 2 სვეტზე შეიცვალა განივკვეთის ტიპი: 700X600; 700X500.
4. მთელს შენობაზე საკომუნიკაციო შახტების ზომები და ფორმა შეიცვალა.
5. პანდუსის დახრა შეიცვალა
6. 0 ნიშნულზე მოპირკეთება გაიზარდა 30 სმ-მდე, შესაბამისად მოცემულ ნიშნულზე კიბის უჯრედების ზონაში მოპირკეთების არ არსებობის გამო გადახურვის ფილის სისქე და რიგელების სიმაღლე შეიცვალა. ფილის სისქე გახდა 37 სმ, რიგელის სიმაღლე 90 სმ.
7. შენობის სახურავზე დაემატა აგრეგატებისთვის განკუთვნილი ოთახი, რომელიც კონსტრუქციულად გადაწვეტილია ფოლადის მასალით.

<u>საცხოვრებელი</u>

1. -1 სართულის და 0 სართულის სიმაღლეები გაიზარდა. -1 სართულის სიმაღლე გაიზარდა 5 სმ-ით, ხოლო 0 სართულის - 15 სმ-ით.
2. შენობის საძირკვლს ფილა აიწია ზემოთ 25 სმ-ით. შეიცვალა სართულების აბსოლუტური ნიშნულები.
3. 6-7 -I ღერძებში დაემატა შენობას ვესტიბიული, ვესტიბიულის ერთი მხარე დაკავშირებულია შენობის მაღლივ ნაწილთან, ხოლო მეორე მხარეს გადახურვის დამჭერად მოეწყო ფოლადის ორი სვეტი და გაგრძელდა პოდიუმის ნაწილის რკინაბეტონის ერთი სვეტი. აღნიშნული ფოლადის სვეტები ეყრდნობა პოდიუმის ნაწილის რიგელებს. ფოლადის სვეტის კვეთი 250X8
4. + 52.75 ნიშნულიდან +71.95-ის ჩათვლით J ღერზე დიაფრაგმაში გაჩნდა კარის ღიობი ზომით 900x2300 მმ.
5. 1-3 - ღერძებში საძირკვლის ფილის სისქე 40 სმ-ის ნაცვლად გახდა 60 სმ.
6. მთელს შენობაზე საკომუნიკაციო შახტების ზომები და ფორმა შეიცვალა.
7. აივანზე კონსოლის რიგელები დამოკლდა 40 სმ-ით.
8. 0 ნიშნულზე მოპირკეთება გაიზარდა 30 სმ-მდე, შესაბამისად მოცემულ ნიშნულზე კიბის უჯრედების ზონაში მოპირკეთების არ არსებობის გამო გადახურვის ფილის სისქე და რიგელების სიმაღლე შეიცვალა. ფილის სისქე გახდა 37 სმ, რიგელის სიმაღლე 90 სმ

9. ღერძის გარეთ 6-9 ღერძებზე ჩაემატა კიბის უჯრედი, -1 სართულიდან 0სართულზე ამოსასვლელი. კიბის კონსტრუქცია გადაწყვეტილია ფოლადის მასალით. კიბის უჯრედის ჩამატების გამო შეიცვალა სარდაფის პერიმეტრის რკ/ბ კედლის კონფიგურაცია.

ნახაზების სახით მოცემული პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი, ასევე კომპიუტერული მოდელირება და გაანგარიშებები შესრულებულია პროფესიულ დონეზე. წარმოდგენილი საპროექტო მუშა დოკუმენტაცია შეესაბამება და აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს და წესებს.

ცალკეული შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც დაფიქსირებული იქნა ჩვენს მიერ, პროექტის საავტორო ჯგუფმა გაითვალისწინა, მიიღო და ასახა მუშა დოკუმენტაციის საბოლოო ვერსიაში.

<u>დასკვნა:</u>

კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს რეკომენდაცია ეძლევა შემდგომი გამოყენებისათვის.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი,
შპს "კონსტუდიო"-ს დირექტორი, ტმდ

ედიშერ წოწერია

თბილისი 08-06-2020